ᲨᲔᲤᲐᲡᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲔᲑᲘᲡ
ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ

ᲢᲔᲡᲢᲘ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲘᲗᲘ ᲡᲐᲤᲔᲮᲣᲠᲘᲡ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲗᲐᲗᲕᲘᲡ

ᲘᲜᲡᲢᲠᲣᲥᲪᲘᲐ

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ტესტი ორი ნაწილისგან შედგება - საგნობრივი ცოდნა და აკადემიური უნარები.

ტესტის მაქსიმალური ქულაა 65.

ტესტში წარმოდგენილი დავალებები, ფორმატის თვალსაზრისით, სხვადასხვაგვარია. ყურადღებით წაიკითხეთ თითოეული დავალების ინსტრუქცია, კარგად გაიაზრეთ, რა მოგეთხოვებათ დავალების შესრულებისას და შემდეგ აირჩიეთ ან დაწერეთ პასუხი.

გაითვალისწინეთ:

- თუ სწორ პასუხთან ერთად არასწორ პასუხსაც მიუთითებთ, ქულას ვერ მოიპოვებთ.
- თუ ქართული ენისა და ლიტერატურის დავალებებზე პასუხის გაცემისას დაარღვევთ თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმებს, დაგაკლდებათ ქულა.

ტესტზე სამუშაოდ გეძლევათ 4 საათი.

გისურვებთ წარმატებას!

საგნობრივი ცოდნა

ქართული ენა და ლიტერატურა

(1) **1. ქვემოთ მოცემული წინადადებებიდან რომელში/რომლებში *<u>არ გვხვდება</u>* რიცხვში მონაცვლე ზმნა?**

I. მოსწავლეები სკამებზე უნდა დაესხა.

II. წყალი ნაკვერჩხალზე უნდა დაესხა.

III. თურმე მტერი ღამით თავს დაესხა.

ა) მხოლოდ I-სა და II-ში;

ბ) მხოლოდ II-ში;

გ) მხოლოდ III-ში;

დ) მხოლოდ II-სა და III-ში.

(1) **2.** ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი ფონემა/სამეტყველო ბგერა აღიწერება შემდეგნაირად: *<u>მყლერი, ენაკბილისმიერი.</u>*

ა) თ

ბ) ვ

გ) დ

დ) ტ

(1) **3. სიტყვა *ოდისეა* ნიშნავს:**

ა) სასწავლო-შემეცნებითი ხასიათის ხანმოკლე მოგზაურობას;

ბ) თავგადასავლებითა და ფათერაკებით სავსე ხანგრძლივ მოგზაურობას;

გ) გეოგრაფიული აღმოჩენების მიზნით დაგეგმილ ხანგრძლივ მოგზაურობას;

დ) ვირტუალურ სამყაროში ხანმოკლე ფანტასტიკურ მოგზაურობას.

(6) **4.** ქვემოთ მოცემულ წინადადებებში დაშვებულია რამდენიმე მორფოლოგიური თუ სინტაქსური შეცდომა. ამოიწერეთ შეცდომები, მიუთითეთ სწორი ფორმები და განმარტეთ, რის ცოდნაა საჭირო, რომ ანალოგიური შეცდომები არ დავუშვათ. თითოეული შეცდომის გასწორება და შესაბამისი დასაბუთება ფასდება 2 ქულით.

გაითვალისწინეთ, რომ სწორად დაწერილი თითოეული სიტყვის მცდარი ფორმით შეცვლის შემთხვევაში დაგაკლდებათ 1 ქულა.

სულ მიკვირდა, ზაზა და მისი ძმები ამდენ საქმეებს როგორ აუდიოდნენ. რამდენი იმედგაცრუება შეხვდათ, რამდენჯერ არ მოემართათ ხელი, მაგრამ მაინც არ დაკარგვიათ მოქმედების, მუხლჩაუხრელად შრომის ხალისი. მართალია, ხშირად გვითქვამს, რომ ჩვენგან განსხვავებულები იყვნენ, მაგრამ მათი შემართება მუდამ გვრიდა სიამოვნებას და აღგვაფრთოვანებდა უკლებლივ ყველას, ვინც იმ სოფელში ვცხოვრობდით.

(2) **5. იპოვეთ მოცემულ წინადადებაში დაშვებული შეცდომა და განმარტეთ, რა უნდა იცოდეს მასწავლებელმა, რომ არ დაუშვას ანალოგიური შეცდომა.**

რომში ჩასულმა ტურისტმა მოინახულა: ვატიკანი, ეროვნული მუზეუმი და გიგანტური ამფითეატრი.

6. წაიკითხეთ ნაწყვეტი ფელიქს ზალტენის მოთხრობიდან „ბემბი“ და შეასრულეთ 6.1. – 6.4. დავალებები:

თოვდა. თეთრ ქურქში გამოწყობილი ტყე თვლემდა. იშვიათად თუ გაიგონებდით ყვავის ჩხავილს. შემდეგ ყინვები დაიწყო და ყველაფერი მიჩუმდა. მხოლოდ სუსხიანი ქარის წივილი ისმოდა.

ერთ დილას ძაღლების ყეფამ ტყის მდუმარება დაარღვია, ყველა დაძაბა, შეაშინა. წაქცეული წიფლის ქვეშ მწოლიარე ბემბიმ, შვლის ნუკრმა, ფხიზლად წამოსწია თავი და მამას გადახედა.

– საშიში არაფერია, – უთხრა ხნიერმა წინამძღოლმა.

მაინც დაიძაბნენ. იწვნენ თავიანთ საფარში, რომელსაც თავზე საიმედოდ ეხურა ხმელი წიფელი. ხშირი თოვლი მათ ცივი ქარისგან იცავდა, მჭიდროდ ჩაწნული ტოტები კი – უცნობთა მახვილი თვალისგან. უცებ გაისმა ხმელი ტოტების ლაწალუწი. ვიღაც მორბოდა. ტოტები ირხეოდა და იქიდან თოვლი ცვიოდა. ახლა გარკვევით შეიძლებოდა ყველაფრის დანახვა. ბებერი მელა თავქუდმოგლეჯილი მორბოდა. მას კვალდაკვალ მოსდევდა პატარა, მოკლეფეხებიანი ძაღლი.

საწყალ მელას წინა ფეხი მოსტეხოდა, მკერდიდან კი სისხლი სდიოდა. სასოწარკვეთილი და თავგზააბნეული გარბოდა. უეცრად გამწარებული მოუბრუნდა მდევარს და კბილები დაკრიჭა. ამ მოულოდნელმა ფანდმა ძაღლი დააფრთხო. რამდენიმე ნაბიჯით უკან დაიხია და ხმამაღლა დაიყეფა. ძაღლი ადამიანს ეძახდა. ეს მელამაც იცოდა.

– შემიბრალე, ნუ გამწირავ! – ევედრებოდა მელა, – მშვიდად სიკვდილის უფლება მაინც მომეცი, ჩვენ ხომ ნათესავები ვართ, შეიძლება ითქვას, თითქმის ძმები ვართ.

ძაღლი კვლავ ყეფდა. მელამ უკანასკნელი ძალა მოიკრიბა და შეუღრინა:

– არ გრცხვენია, მტრის ბანაკში შეხიზნულო მოღალატევ, გამყიდველო?!

– რჯულს განდგომილო! – ჩამოსძახეს ჩხიკვებმა და კაჭკაჭებმა.

– ჯალათო, ჯაშუშო! – ზიზღით ამბობდა სინდიოფალა.

ტყის ბინადარნი საერთო გულისწყრომის გამოსახატავად ტოვებდნენ ბუდეებს, სოროებს, თავშესაფრებს. მელას სიტყვებმა სხვებსაც გაახსენა ძველი ტკივილი. ქათქათა თოვლზე სისხლის დანახვამ ყველას დაავიწყა ჩვეული შიში.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26
27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39

აღელვებულმა ძაღლმა იქაურობას გადახედა.

– ჩემგან რა გინდათ, არაფერი გაგეგებათ! – ყვიროდა იგი, – თქვენ ყველანი ადამიანს ეკუთვნით. მეც მას ვეკუთვნი. ადამიანი ყველაზე ძლიერია და მე მიყვარს ის, ერთგულად ვემსახურები. ის ყოვლისშემძლეა, თქვე საცოდავებო! ყველაფერი, რაც სუნთქავს და იზრდება, მისი შემწეობითაა!

– ჯაშუშო! – დაისისინა მელამ, – ბილწო!

ძაღლი ყელში ეცა მელას. ისინი იღრინებოდნენ და თოვლში გორავდნენ. ერთმანეთში ირეოდა თოვლის კორიანტელი, ბეწვის ნაგლეჯები და სისხლი. მელა თოვლზე დაეცა და სული დალია. ძაღლი კი ხტოდა და ყვიროდა: აქ არის, აქ!

ორთაბრძოლის მოწმენი დამფრთხალნი მიმოიფანტნენ.

– რა საშინელებაა!.. – ჩაილაპარაკა ბემბიმ.

– ყველაზე დიდი საშინელება ის არის, რომ მათ ძაღლის ნათქვამი სჯერათ, – მტკიცედ თქვა მოხუცმა შველმა, – ტყის ბინადართ სძულთ ადამიანი, მაგრამ ჰგონიათ, რომ მუდმივ შიშში უნდა გაატარონ მთელი ცხოვრება... და მორჩილად ეგებებიან სიკვდილს.

ბემბის ვერაფერი გაეგო.

– ბემბი, ხომ გაიგე, რას ამბობდა ადამიანზე ძაღლი, უძლეველიაო, – განაგრძო წინამძღოლმა, – ის ისეთივე მოკვდავია, როგორიც ყოველი ჩვენგანი. ჩვენსავით განიცდის შიშს, გაჭირვებას, ტანჯვას. ჩვენსავით იბრძვის, რომ გადარჩეს. მაშ რატომ ცახცახებს ყველა მის წინაშე? მას არ აქვს ჩვენსავით ძლიერი ფეხები, არც შევარდნის ფრთები აქვს... არც სინდიოფალას სიმარდე, არც მელას კბილები... და მაინც ჩვენზე ძლიერია. იცი, რატომ? იმიტომ, რომ მებრძოლი სული აქვს. ჩვენ, შვლები, არავის ვხოცავთ... მას ძალით ვერ დავუპირისპირდებით! უნდა გავმრავლდეთ და დავიცვათ ჩვენი მოდგმა, ჩვენი და ჩვენი ახლობლების სიცოცხლე. უნდა დავეხმაროთ ერთმანეთს და სხვა თანამოძმეებს ადამიანის წინააღმდეგ ბრძოლაში. უნდა ვიყოთ ფრთხილნი, ფხიზელნი, მოხერხებულნი და უჩინარნი. არ უნდა გვძლიოს სიმხდალემ! ასეთია ცხოვრების დიადი კანონი!

(1) **6.1. რა ძირითადი დასკვნა უნდა გამოიტანოს ადამიანის შესახებ ბემბიმ თავისი ცხოვრების ამ ეპიზოდიდან?**

ა) ადამიანი დაუნდობელია, ამიტომ ის სძულთ ტყის ბინადართ;
ბ) ადამიანის შემწეობით სუნთქავს და იზრდება ყველაფერი ამ სამყაროში;
გ) ადამიანიც ბემბის თანამოძმეებივით მოკვდავია, არ აქვს მათსავით ძლიერი ფეხები, არც ფრთები, არც სისწრაფე;
დ) ადამიანისგან თავის დასაცავად თანამოძმეები ერთმანეთს უნდა დაეხმარონ, მოხერხებულობა, სიფრთხილე გამოიჩინონ.

(1) **6.2. შვლების წინამძღოლს ტყის სხვა ბინადართაგან განსხვავებული აზრი აქვს ადამიანზე. რამ განაპირობა ეს განსხვავება?**

ა) წინამძღოლი დაბერდა და ძალა აღარ შესწევს, დაუპირისპირდეს ადამიანს;
ბ) წინამძღოლი მხოლოდ იმ კონკრეტული ადამიანის მიხედვით მსჯელობს, რომელიც მას შეხვედრია;
გ) წინამძღოლი უფრო გამოცდილია, კარგად იცნობს ადამიანს და მეტ სიფრთხილეს იჩენს;
დ) წინამძღოლი შვილს ამშვიდებს, რათა ნუკრი არ დაითრგუნოს, სინამდვილეში კი სხვა ცხოველების აზრს ეთანხმება.

(2) **6.3. იმსჯელეთ, რატომ ჰგონიათ ტყის ბინადართ ძაღლი** *„მოღალატე“, „რჯულს განდგომილი“, „ჯაშუში“.*

(2) **6.4. იმსჯელეთ, რა არის ამ ეპიზოდის ძირითადი სათქმელი. პასუხი დაასაბუთეთ.**

7. წაიკითხეთ ფრაგმენტი ვაჟა-ფშაველას ლექსიდან „აზრი და გრძნობა“ და შეასრულეთ 7.1. – 7.2. დავალებები:

აზრი და გრძნობა წავიდნენ
დასასვენებლად მთაზედა...
.....
რა ქმნა ქვეყანამ მაშინა,
უგრძნობ-უაზროდ გდებულმა?
ერთმანეთს ჭამა დაუწყო
ყოველმა მირონცხებულმა...
გაჰქრა ყოველგან, გაქარწყლდა
სიმართლის ყველა ნასახი,
გამეფდა მხოლოდ მგლის მადა,
ძალა, დანა და მათრახი.
ქარა-მტვრად იყო ქცეული
ენა-წყლიანი მუდარა,
ისმოდა ერთისგან სხვაზე
მხოლოდ წყევლა და მუქარა.
ტანთ ეცვა ტურფა სამყაროს,
როგორაც ცხედარს, სუდარა.

(2)**7.1. იმსჯელეთ, რას გულისხმობს ავტორი ფრაზაში: *„გამეფდა მხოლოდ მგლის მადა...“***

(2)**7.2. განაზოგადეთ ლექსის ამ ნაწყვეტში წამოჭრილი პრობლემა და იმსჯელეთ, რამ განაპირობა ის.**

მათემატიკა

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26
27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39

(1) **8.** ერთი ცალი ფანქრის სიგრძეა 16-18 სმ. ჩამოთვლილთაგან რომლის ტოლი შეიძლება იყოს იმ ტეხილის სიგრძე, რომელიც 3 მილიონი ისეთი მონაკვეთისგან შედგება, რომელთაგან თითოეულის სიგრძე ფანქრის სიგრძის ტოლია?

ა) 425 კმ-ის;

ბ) 475 კმ-ის;

გ) 525 კმ-ის;

დ) 545 კმ-ის.

(1) **9.** ერთობლივი ფირმის დაფუძნებისას დათომ 20 ათასი ლარი შეიტანა ბანკში, ნინომ – 12 ათასი ლარი. ფირმის მოგებას ისინი შეტანილი თანხების პროპორციულად ინაწილებენ. ჩამოთვლილთაგან რომელი შეიძლება იყოს ფირმის მოგების განაწილების შედეგად დათოსა და ნინოს მიერ მიღებული თანხები?

ა) 1000 ლარი და 600 ლარი;

ბ) 600 ლარი და 400 ლარი;

გ) 800 ლარი და 600 ლარი;

დ) 900 ლარი და 800 ლარი.

(1) **10.** $ABCD$ მართკუთხედის დიაგონალების გადაკვეთის O წერტილიდან CD გვერდზე დაშვებულია OK მართობი. რის ტოლია $BCKO$ ოთხკუთხედის ფართობი, თუ $ABCD$ მართკუთხედის ფართობი 32 კვ. სმ-ია?



ა) 8 კვ. სმ-ის;

ბ) 10 კვ. სმ-ის;

გ) 12 კვ. სმ-ის;

დ) 14 კვ. სმ-ის.

(1) **11.** ქვემოთ ჩამოთვლილი წინადადებებიდან რომელია მართებული?

I. თუ ორი ნატურალური რიცხვის ნამრავლი ლუწია, მაშინ ამ რიცხვების ჯამიც ლუწია.

II. თუ ორი ნატურალური რიცხვის ნამრავლი კენტია, მაშინ ამ რიცხვების ჯამი ლუწია.

ა) მხოლოდ I;

ბ) მხოლოდ II;

გ) ორივე;

დ) არც ერთი.

(1) **12.** წრიულ დიაგრამაზე წარმოდგენილია, ერთ-ერთ ქარხანაში ჩამოსხმული ღვინის ბოთლების საერთო რაოდენობის რა ნაწილს შეადგენდა მშრალი, ტკბილი და ნახევრად ტკბილი ღვინის ბოთლების რაოდენობები. ქარხანაში 70 ათასი ბოთლი ნახევრად ტკბილი ღვინო ჩამოასხეს. სულ რამდენი ათასი ბოთლი ღვინო ჩამოუსხამთ ამ ქარხანაში?



ა) 125

ბ) 150

გ) 175

დ) 200

(1) **13.** ნატურალურ რიცხვთა მიმდევრობის შესახებ ცნობილია, რომ:

- თუ მიმდევრობის რომელიმე წევრი უნაშთოდ იყოფა 6-ზე, მაშინ მისი მომდევნო წევრიც უნაშთოდ იყოფა 6-ზე.
- მიმდევრობის პირველი 8 წევრიდან მხოლოდ 3 წევრი იყოფა 6-ზე უნაშთოდ.

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელია **შეუძლებელი**:

ა) ამ მიმდევრობის მეშვიდე წევრი უნაშთოდ იყოფა 6-ზე;

ბ) ამ მიმდევრობის მერვე წევრი უნაშთოდ იყოფა 6-ზე;

გ) ამ მიმდევრობის მეხუთე წევრი 6-ზე უნაშთოდ არ იყოფა;

დ) ამ მიმდევრობის მეექვსე წევრი 6-ზე უნაშთოდ არ იყოფა.

(1) **14.** პაატამ პირველ დღეს კედლის მესამედი ნაწილი შეღება. კედლის მერამდენედი ნაწილი უნდა შეღებოს პაატამ მეორე დღეს, რომ ამ ორი დღის მუშაობის შედეგად კედლის ნახევარი იყოს შეღებილი?

ა) მეექვსედი;

ბ) მეხუთედი;

გ) მეოთხედი;

დ) მესამედი.

მონაცემთა ანალიზი

აგვისტოში საკონსერვო ქარხანა სხვადასხვა ხილს სხვადასხვა ფასად იბარებდა. დიაგრამაზე მრუდებით შემოსაზღვრულია არეები, რომლებიც გვიჩვენებს, თუ რომელ ხილს იბარებდა საკონსერვო ქარხანა აგვისტოში და რა ფარგლებში მერყეობდა ჩაბარებისას კილოგრამი ხილის ფასი დღის განმავლობაში. მაგალითად, დიაგრამიდან ჩანს, რომ 14 აგვისტოს ჩაბარებული მსხლის ფასი 1,2-1,4 ლარის ფარგლებში მერყეობდა.



დიაგრამის მიხედვით უპასუხეთ შემდეგ 2 შეკითხვას:

შეკითხვებზე გადასვლა: 15 16

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26
27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39

(1) **15**. აგვისტოში სულ რამდენი დღე იყო ისეთი, რომლის განმავლობაშიც საკონსერვო ქარხანა ორი დასახელების ხილს იბარებდა?

ა) 6

ბ) 8

გ) 10

დ) 12

[დიაგრამის ნახვა]

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26
27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39

(1) **16.** ფერმერმა 14 აგვისტოს საკონსერვო ქარხანაში 400 კგ ხილი ჩააბარა. ჩამოთვლილთაგან რომლის ტოლი შეიძლება იყოს ქარხნის მიერ ამ დღეს ფერმერისთვის გადახდილი თანხის რაოდენობა?

ა) 470 ლარის;

ბ) 520 ლარის;

გ) 570 ლარის;

დ) 620 ლარის.

დიაგრამის ნახვა

(1) **17.** მოცემულია ორნიშნა რიცხვი, რომლის ციფრული ჩანაწერისთვის მარჯვნივ 5-იანის მიწერით მიღებული სამნიშნა რიცხვი 149-ით მეტია ამ ორნიშნა რიცხვზე. რის ტოლია მოცემული ორნიშნა რიცხვის ციფრთა ჯამი?

ა) 6-ის;

ბ) 7-ის;

გ) 8-ის;

დ) 9-ის.

(1) **18.** გუნდში, რომელშიც გიორგი მღერის, ყველა მომღერალი სხვადასხვა ასაკისაა. გუნდის 5 ყველაზე უმცროსი მომღერლიდან გიორგიზე უფროსია მხოლოდ 2 მომღერალი, ხოლო 7 ყველაზე უფროსი მომღერლიდან გიორგიზე უმცროსია მხოლოდ 1 მომღერალი. სულ რამდენი მომღერალია ამ გუნდში?

ა) 8

ბ) 10

გ) 12

დ) 13

(1) **19.** მართკუთხა საკოორდინატო სიბრტყეზე მოცემული ABC ტოლფერდა სამკუთხედის AC ფუძე x-ღერძის პარალელურია. A წვეროს კოორდინატებია (2; 1), ხოლო B წვეროსი – (6; 5). რის ტოლია ამ სამკუთხედის ფუძის სიგრძის შეფარდება ფუძის შესაბამის სიმაღლესთან?

ა) 1-ის;

ბ) 2-ის;

გ) 3-ის;

დ) 4-ის.

(3) **20.** ოჯახი შედგება დედ-მამისა და რამდენიმე შვილისგან. ოჯახის წევრთა საშუალო ასაკი 19 წელია, დედ-მამისა – 39, ხოლო შვილებისა – 11. რის ტოლია ოჯახის წევრთა რაოდენობა?

პასუხი დაასაბუთეთ.

(3) **21.** მოსწავლეებს შემდეგი სამუშაო შესთავაზეს:

1) გამოთვალეთ: I. $670 \cdot 4$ II. $2800 \cdot 50$
III. $2406 : 6$ IV. $44022 : 22$

2) გამოთვალეთ: I. $63 \cdot 21$ II. $89 \cdot 51$

3) ორი თაროდან პირველზე 3 წიგნით მეტია, ვიდრე – მეორეზე. რამდენი წიგნია მეორე თაროზე, თუ ორივეზე ერთად 27 წიგნია?

4) პირველი მართკუთხედის სიგრძეა 60 სმ, სიგანე – 4 სმ, ხოლო მეორე მართკუთხედის სიგრძეა – 10 სმ, სიგანე – 8 სმ. რამდენჯერ მეტია პირველი მართკუთხედის ფართობი მეორე მართკუთხედის ფართობზე?

მომდევნო გვერდზე მოცემულია ერთ-ერთი მოსწავლის ნამუშევარი:

1) I. $\begin{array}{r} \times\ 670 \\ 4 \\ \hline 2680 \end{array}$ II. $\begin{array}{r} \times\ 2800 \\ 50 \\ \hline 14000 \end{array}$

III. $2406 : 6 = 401$ IV. $44022 : 22 = 201$

2) I. $63 \cdot 21 = 63 \cdot 20 + 63 = 1260 + 63 = 1323$

II. $89 \cdot 51 = 90 \cdot 51 - 51 = 4590 - 51 = 4549$

3) $27 + 3 = 30$, $30 : 2 = 15$, მეორე თაროზე $15 + 3 = 18$ წიგნია.

4) $60 : 10 = 6$ $8 : 4 = 2$ პირველის ფართობი მეტია $6 \cdot 2 = 12$-ჯერ.

- მიუთითეთ მოსწავლის მიერ დაშვებული თითოეული შეცდომა და ჩაწერეთ შესწორებული სახით.

ბუნებისმეტყველება

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26
27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39

(1) **22.** ჩამოთვლილთაგან რომელია ნებისმიერი ცოცხალი ორგანიზმის დამახასიათებელი ძირითადი თვისება?

I – ფოტოსინთეზი

II – სუნთქვა

III – გამრავლება

ა) მხოლოდ I;

ბ) მხოლოდ II;

გ) მხოლოდ I და II;

დ) მხოლოდ II და III.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26
27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39

(1) **23.** ჩამოთვლილთაგან რომელს ხმარდება მცენარის მიერ შეთვისებული სინათლის ენერგია?

ა) შაქრის წარმოქმნას;

ბ) ორგანულ ნივთიერებათა დაშლას;

გ) წყლის აორთქლებას;

დ) სუნთქვას.

(1) **24.** რა საერთო ნიშანი აქვთ ილუსტრაციაზე გამოსახულ ორგანიზმებს?



ა) სხეულის აგებულება;

ბ) გადაადგილების ხერხი;

გ) გავრცელების არეალი;

დ) კვერცხით გამრავლების უნარი.

(1) **25.** ჩამოთვლილთაგან რომლებია ვირუსით გამოწვეული დაავადებები?

ა) წითურა და ტეტანუსი;

ბ) წითურა და კოვიდ-ინფექცია;

გ) ტეტანუსი და მალარია;

დ) კოვიდ-ინფექცია და მალარია.

(1) **26**. ჩამოთვლილთაგან რომლებს უჩნდებათ თვალაუხელელი, უსუსური ნაშიერი?

ა) კატასა და ცხენს;

ბ) კატასა და ძაღლს;

გ) ცხენსა და ძროხას;

დ) ძაღლსა და ძროხას.

(1) **27.** ჩამოთვლილთაგან ყველაზე სწრაფად ბგერა ვრცელდება:

ა) ვაკუუმში;

ბ) ჰაერში;

გ) რკინაში;

დ) წყალში.

(1) **28.** ნახატზე გამოსახულია ლითონის დისკი, რომელზეც მიმაგრებულია სპილენძის, ალუმინისა და რკინის ერთი სიგრძის ღეროები. ღეროებზე ცვილით მიმაგრებულია პატარა ლურსმნები ერთნაირი დაშორებებით. დისკი გააცხელეს სპირტქურით. ცვილი დნება და ლურსმნები ცვივა. ნახატზე გამოსახულია სიტუაცია გარკვეულ მომენტში. ცდის მიხედვით, გამოყენებულ ლითონებს შორის რომელია ყველაზე კარგი თბოგამტარი?



ა) ალუმინი;

ბ) სპილენძი;

გ) რკინა;

დ) ამ ცდით დადგენა შეუძლებელია.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26
27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39

(1) **29.** ჩამოთვლილთაგან რომელი ***<u>არ შეიძლება</u>*** იყოს მდინარის სათავე?

ა) წყარო;

ბ) ჭაობი;

გ) ტბა;

დ) ზღვა.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26
27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39

(1) **30.** ამბროლაურის 2022 წლის 19 დეკემბრის ამინდის მონაცემების მიხედვით განსაზღვრეთ, რა მიმართულების ქარი ქროდა ქალაქში (ნახატზე ისრებით მითითებულია ქარის მიმართულება).

ა) ღამით აღმოსავლეთის, ხოლო დღისით დასავლეთის;
ბ) ღამით ჩრდილოეთის, ხოლო დღისით სამხრეთის;
გ) ღამით სამხრეთის, ხოლო დღისით ჩრდილოეთის;
დ) ღამით დასავლეთის, ხოლო დღისით აღმოსავლეთის.

(1) **31.** ილუსტრაციებზე მოცემულია ჩრდილოეთ ნახევარსფეროს ზომიერი სარტყლის ერთი კონკრეტული პუნქტი. რომელი ილუსტრაცია შეესაბამება მზის პოზიციას ჰორიზონტზე ზაფხულის ნაბუნიობისას?



ა) A

ბ) B

გ) C

დ) D

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26
27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39

(1) **32.** წელიწადის რომელი დრო იქნება 25 ივლისს კ. ცეცხლოვან მიწაზე?



ა) ზამთარი;

ბ) გაზაფხული;

გ) ზაფხული;

დ) შემოდგომა.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26
27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39

(1) **33.** რომელი ლათინური ასოთია აღნიშნული პოლარული ვარსკვლავი?



ა) A

ბ) B

გ) C

დ) D

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26
27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39

აკადემიური უნარები

წაკითხულის გააზრება

ყურადღებით წაიკითხეთ და გაიაზრეთ ტექსტი. თითოეული შეკითხვის სავარაუდო პასუხებიდან აირჩიეთ ის ვარიანტი, რომელიც მართებულია მოცემული ტექსტის მიხედვით.

ამა თუ იმ შეკითხვის გაცნობის შემდეგ მასზე პასუხის გასაცემად შესაძლებელია დაგჭირდეთ ტექსტთან დაბრუნება, შესაბამისი მონაკვეთის ხელახლა წაკითხვა და კვლავ შეკითხვაზე გადასვლა. ამას გაგიადვილებთ როგორც ტექსტის, ასევე, თითოეული შეკითხვის ბოლოს მოცემულ სათანადო აღნიშვნებზე „დაწკაპუნება“.

მე-19 საუკუნეში ექიმებმა ინდივიდუალური შემთხვევების შესწავლისას აღმოაჩინეს, რომ ზოგიერთ ბავშვს ასოების ამოცნობა უჭირდა. ამ ფენომენს „სიტყვის სიბრმავე“ უწოდეს. ერთ-ერთი ბრიტანელი ექიმის ჩანაწერში ვკითხულობთ: „მამამ მომიყვანა 10 წლის ბიჭი, რათა გამეგო, რატომ ჰქონდა მას სირთულეები სწავლისას. ბიჭს აშკარად ნათელი გონება ჰქონდა... გაირკვა, რომ მას უჭირდა კითხვა და ამის მიზეზი იყო არა მხედველობის დაქვეითება, არამედ სიტყვების დამახსოვრების თანდაყოლილი დეფიციტი“. შემდგომში დისლექსიის განმარტებაც ამ მოსაზრებას დაეყრდნო - დისლექსია განვითარების დარღვევაა, რომელიც გულისხმობს კითხვისა და წერის სირთულეებს და ეს სირთულეები ვერ აიხსნება ინტელექტუალური შესაძლებლობების დეფიციტით ან სმენისა თუ მხედველობის დაქვეითებით. დისლექსიის მიზეზი არ არის მშობლის უყურადღებობა, არც ეკრანთან დიდი დროის გატარება, ის თავის ტვინის არასრულყოფილი ფუნქციონირებით აიხსნება, რაც სმენითი თუ ვიზუალური ინფორმაციის გადამუშავების სირთულეებს იწვევს. ხშირად, კლასში, სადაც 20 ბავშვი სწავლობს, ერთ ან ორ ბავშვს მაინც აქვს მსგავსი სირთულეები.

ზოგიერთ შემთხვევაში დისლექსიის ნიშნები ადრეულ ბავშვობაში იჩენს თავს. მაგალითად, დისლექსიის მქონე ბავშვებს შეიძლება სხვისი ნათქვამის გაგების პრობლემა ჰქონდეთ ან გვიან იწყებდნენ მეტყველებას. ასევე, შეიძლება უჭირდეთ სივრცეში ორიენტაცია, ძნელად იმახსოვრებდნენ საგნების დასახელებებს და ა. შ. ხშირად ეს სიგნალები შეუმჩნეველი რჩება, რადგან ეს ბავშვები თითქოს არაფრით გამოირჩევიან თანატოლებისგან. სკოლაში სწავლის დაწყებასთან ერთად კი აღმოჩნდება, რომ, მცდელობის მიუხედავად, ისინი თანატოლებივით ვერ კითხულობენ.

შეკითხვებზე გადასვლა: 34 35 36 37 38

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26
27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39

მშობლები და მასწავლებლები იმედგაცრუებულები არიან, ხშირად ისმის კომენტარები: „ზარმაცია“, „შეძლებდა, რომ ინდომებდეს“... თავად ბავშვი კი ფიქრობს, რომ: „არ შეუძლია“, „არ არის საკმარისად კარგი“... მას უყალიბდება უარყოფითი დამოკიდებულება სკოლისა და, ზოგადად, სწავლის მიმართ. არაერთი კვლევა ადასტურებს, რომ დისლექსიის მქონე ბავშვები მასწავლებლებისა თუ მშობლების ყურადღების ცენტრში არა კითხვის, არამედ ქცევის სირთულეებისა და სწავლის მოტივაციის დეფიციტის გამო ექცევიან.

დისლექსია ქრონიკული მდგომარეობაა და ასაკის მატებასთან ერთად არ ქრება. თუმცა, თუკი ეს ბავშვები მიიღებენ დროულ და ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებულ დახმარებას, კითხვის უნარიც უმჯობესდება და შესაძლებელია იმგვარი გრძელვადიანი შედეგების თავიდან აცილება, როგორებიცაა: საკუთარი თავით უკმაყოფილება, უპერსპექტივობა, მეგობრების შეძენისა და თანატოლებთან ურთიერთობის სირთულეები.

შეკითხვებზე გადასვლა: 34 35 36 37 38

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26
27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39

(1) **34.** რომელი მოსაზრების არგუმენტად გამოგვადგება ბრიტანელი ექიმის პირველ აბზაცში მოყვანილი ჩანაწერი?

ა) დისლექსიის ფენომენი აღმოაჩინეს მე-19 საუკუნეში და მას ,,სიტყვის სიბრმავე“ უწოდეს;

ბ) ექიმებმა, რომლებმაც დისლექსიის ფენომენს ყურადღება მიაქციეს, ჯერ კიდევ არ იცოდნენ, რომ ის თავის ტვინის არასრულყოფილი ფუნქციონირებით აიხსნება;

გ) დისლექსიის პირველმა მკვლევრებმა უკვე იცოდნენ, რომ კითხვის უნარის სირთულე ინტელექტის დეფიციტს არ უკავშირდება;

დ) დისლექსიას მე-19 საუკუნეში ,,სიტყვის სიბრმავე“ უწოდეს, რადგან მაშინ ამ ფენომენს მხედველობის დაქვეითებას უკავშირებდნენ.

[დაბრუნება ტექსტის I გვერდზე](#)
[დაბრუნება ტექსტის II გვერდზე](#)

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26
27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39

(1) **35.** ჩამოთვლილთაგან რომელია მართებული?

ა) შეუძლებელია დისლექსიის აღმოჩენა სკოლის ასაკამდე, რადგან დისლექსიის მქონე ბავშვები არაფრით გამოირჩევიან თანატოლებისგან;

ბ) დისლექსიის მქონე ბავშვები ვერ აღწევენ აკადემიურ წარმატებას, რადგან მათ სწავლის დაბალი მოტივაცია აქვთ;

გ) დისლექსიის მქონე ბავშვების ქცევის პრობლემები ადვილად შესამჩნევია მასწავლებლებისთვის, რაც აადვილებს დისლექსიის დროულ აღმოჩენას;

დ) დისლექსიის მქონე ბავშვები სკოლაში შესვლისთანავე აწყდებიან სირთულეებს, რაც მათ საკუთარი შესაძლებლობების მიმართ ეჭვს უჩენს.

[დაბრუნება ტექსტის I გვერდზე](#)
[დაბრუნება ტექსტის II გვერდზე](#)

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26
27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39

(1) **36.** დისლექსიის მქონე ბავშვები ვერ იღებენ შესაბამის და დროულ მხარდაჭერას, რადგან:

ა) ეს ბავშვები არასაკმარის ინტერესს ამჟღავნებენ სწავლის მიმართ და ქცევის პრობლემები აქვთ;

ბ) ეს ბავშვები ვერ იჩენენ მეგობრებს და აქვთ თანატოლებთან ურთიერთობის სირთულეები;

გ) მშობლებსა და მასწავლებლებს არასწორი წარმოდგენა აქვთ მათი სწავლის სირთულეების მიზეზთა შესახებ;

დ) მშობლებსა და მასწავლებლებს არ აქვთ ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული დახმარების გაწევის გამოცდილება.

[დაბრუნება ტექსტის I გვერდზე](#)

[დაბრუნება ტექსტის II გვერდზე](#)

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26
27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39

(1) **37.** რომელ შეკითხვას **ვერ გავცემთ** პასუხს ტექსტზე დაყრდნობით?

ა) რა არის დისლექსიის მიზეზი?

ბ) დაახლოებით რა სიხშირით გვხვდება დისლექსია?

გ) კონკრეტულად რომელი სტრატეგიებით დავეხმარებით დისლექსიის მქონე ბავშვს?

დ) შესაძლებელია დისლექსიისთვის დამახასიათებელი კითხვის პრობლემების მთლიანად ამოწურვა?

[დაბრუნება ტექსტის I გვერდზე]

[დაბრუნება ტექსტის II გვერდზე]

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26
27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39

(1) **38.** დისლექსიის დროული აღმოჩენა და შესაბამისი დახმარება მნიშვნელოვანია:

ა) ბავშვისთვის კითხვის პრობლემის თავიდან ასაცილებლად და, შესაბამისად, სიზარმაცის პრევენციისთვის;
ბ) ბავშვის შესაძლებლობების შესახებ მშობლებისა და მასწავლებლების ადეკვატური შეხედულებების ჩამოსაყალიბებლად;
გ) ბავშვის სამომავლო განვითარების შესახებ მშობლებისა და მასწავლებლების იმედგაცრუების თავიდან ასარიდებლად;
დ) ბავშვისთვის კითხვის პრობლემის შესამსუბუქებლად და თანმხლები ქცევისა თუ ემოციური სირთულეების თავიდან ასარიდებლად.

[დაბრუნება ტექსტის I გვერდზე](#)
[დაბრუნება ტექსტის II გვერდზე](#)

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26
27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39

(9) **39. ანალიტიკური წერა**

<u>გაეცანით დიალოგებს:</u>

დედამ მეექვსეკლასელი შვილი ექიმთან კონსულტაციაზე მიიყვანა:

ექიმი: აბა, დაჯექი ახლა კომფორტულად და მითხარი, რა გაწუხებს...
ბავშვი: მე ....
დედა: ჩვენ დილას წავიქეცით და ფეხი ვიტკინეთ.
ექიმი: აბა, მაჩვენე, სად გტკივა.
დედა: აი, ზუსტად მუხლთან; უკვე შეუსივდა კიდეც.

მასწავლებელი ხვდება მეთორმეტეკლასელის მშობელს სკოლის დერეფანში:

მასწავლებელი: როგორ ხართ, რას აპირებს ირაკლი, სად აბარებთ?
მშობელი: სამედიცინოზე ვაბარებთ და ძალიან ვღელავთ.
მასწავლებელი: ეჭვი არ მეპარება, წარმატებით ჩააბარებთ გამოცდებს...

<u>ამონარიდი ერთ-ერთი ვებგვერდიდან:</u>

„...შვილების უკეთესი მომავლის უზრუნველყოფისა თუ მათი განვითარების მოტივით ზოგჯერ მშობლებს ურჩევნიათ, პასუხისმგებლობა თავად აიღონ. შვილები კი გამოწვევების წინაშე განიარაღებულნი რჩებიან.“

გაიაზრეთ წარმოდგენილი ნიმუშები და იმსჯელეთ:

- რა პრობლემა იკვეთება მოცემულ საილუსტრაციო მასალაში?
- რა გამოწვევების წინაშე აყენებს საზოგადოებას ეს პრობლემა?
- რა შეიძლება დავსახოთ პრობლემის გადაჭრის გზად? განაზოგადეთ სათქმელი.

<u>მსჯელობის გასამყარებლად მოიყვანეთ არგუმენტები და შესაბამისი მაგალითები. თხზულება უნდა შეიცავდეს, სულ მცირე, 120 სიტყვას.</u>